

## სანი

მაღამო გარეგანი გამოყენების

### გამოყენების ინსტრუქცია

#### აღწერა

- **სავაჭრო დასახელება:** სანი მაღამო/SANI unguentum.
- **საერთაშორისო დასახელება (აქტიური ნივთიერება):** მცენარეული ბიოლოგიურად აქტიური პოლიპეპტიდების ჯამი.
- **კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯგუფი:** პარაფარმაცევტული პროდუქტი - პარასამკურნალო საშუალება - ბიოლოგიურად აქტიური დანამატი - იმუნოლოგია - იმუნომოდულატორები - ციტოკინები - ანტიოქსიდანტები - ინტერფერონები - ფიტოპრეპარატები.
- **მწარმოებელი კომპანია:** ქიმიოფარმი, შპს „ალექსიო“-ის დაკვეთით.
- **მწარმოებელი ქვეყანა:** საქართველო.
- **გამოშვების ფორმა:** 5%-იანი 40 გრამი, პლასტმასის ხრახნიანი ქილა, ინსტრუქციასთან კომპლექტში მუყაოს ყუთში.
- **გაცემის რეჟიმი:** III ჯგუფი (ურეცეპტოდ).

#### ზოგადი დახასიათება:

მაღამო შეიცავს 100% ბუნებრივ ინგრედიენტებს. შექმნილია ძველი ტრადიციული მედიცინის და ინოვაციური ნაწი ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე.

#### ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

ყვითელი, დამახასიათებელი სპეციფიკური სუნის მქონე.

#### შემადგენლობა:

**აქტიური ნივთიერებები:** ბიოქიმიურად გაწმენდილი ბიოაქტიური პოლიპეპტიდების სტანდარტიზებული კომპლექსი მიღებული საქართველოს სამკურნალო მცენარეებიდან:

ქრისტესისხლა - (Chelidonium majus)

სვინტრი - (Polygonatum obtusifolium)

ჯანჯაფილი, კოჭა (Zingiber officinale)

ფითრი - (Viscum album)

ეთერზეთები: ევკალიპტის, ჩაის ხის, საკმევლის, ლავანდისა და მირას.

#### დამხმარე ნივთიერებები:

ზეითუნის, ყურძნის წიპწის, აბუსალათინისა და ქაცვის ზეთი, თაფლის სანთელი, კაკაოს ცხიმი.

#### გამოშვების ფორმა

მაღამო, 5%-იანი 40 გრამი, პლასტმასის ხრახნიანი ქილა, მუყაოს ყუთში. ინსტრუქციასთან კომპლექტში მუყაოს კოლოფში.

## ფარმაკოლოგიური თვისებები

სანი-ს აქტიური ნივთიერების შემადგენლობაში შედის სხვადასხვა სამკურნალო მცენარიდან იდენტიფიცირებული ფართო სპექტრის ფარმაკოლოგიური თვისებების მქონე პეპტიდების ჯამი, რომლებიც ადვილად შეიწოვება ორგანიზმში. მათ გააჩნიათ იმუნიტეტის აღდგენის უნარი. იწვევენ ჰუმორალური და უჯრედული იმუნიტეტის აქტივაციას. გააჩნიათ სიმსივნური უჯრედების პირადაპირი დაშლის უნარი აპოპტოზის გზით. გააჩნიათ ნეიტროფილებისა და მაკროფაგების ფაგოციტოზის აქტივაციას უნარი. იწვევენ ნეიტროფილებისა და მაკროფაგების ფაგოციტოზის აქტივაციას, გააჩნია მძიმე მეტალების გამოდევნის უნარი და გამოკვეთილი ანტიოქსიდანტური აქტივობა, ფიბრობლასტებისა ეპითელიალური უჯრედების აღდგენის და ციტოპროტექტორული თვისებები.

## ჩვენებები და გამოყენება

სანი გამოიყენება როგორც ადგილობრივი პარასამკურნალო საშუალება კანის დაავადებათა პროფილაქტიკის, მკურნალობის და რეგენარაციული პროცესების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით. სანი-ს შემადგენლობაში შემავალი პოლიპეპტიდების ჯამის მრავალმხრივი ფარმაკოლოგიური თვისებების გამო იგი წარმატებით გამოიყენება ფართო სპექტრის კანის დაავადებებზე:

- ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები - მელანომა, სკლეროდერმია, T- ლიმფომა, ბაზალური უჯრედოვანი კარცინომა, ბრტყელ უჯრედოვანი კარცინომა, სეზორეული კერატოზი, დერმატოფიბრომა, ნაწიბურები, კანის პაპილომა, ეპიდერმალური ცისტა, ლიპომა, წანაზარდები.
- კანის ინფექციური-ანთებითი დაავადებები: მარტივი ჰერპეს ვირუსი(HSV-1/HSV-2), ჰერპეს ზოსტერ ვირუსი (VZV), ტროპიკული წყლული, ჩვეულებრივი ბრტყელი მეჭეჭი, კანის ტუბერკულოზი, ფსორიაზი, წითელი ქარი, წითელი მგლურა, ეგზემა.
- დაზიანებული კანი: გამოიყენება ჩირქოვანი და ხანგრძლივად შეუხორცებადი ჭრილობების, ფურნუკულის, პანარიციუმის და ნაწოლების, სწრაფი მკურნალობის და რეგენერაციის მიზნით.
- დამწვრობის - მსუბუქი და მძიმე ხარისხის დამწვრობა (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე), მზისგან გამოწვეული დამწვრობა, სხივური თერაპიის დროს განვითარებული დამწვრობა.
- მეანობაში: სანი მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნებრივი კვების დროს რძის დაგუბების და სარძევე ჯირკვლების ანთებითი დაავადებების განვითარების რისკს. მეძუძურებში მალამოს გამოყენებისას გაადვილებულია რძის გამოწველა, არ წარმოიქმნება ან მალე ხორცდება ძუძუს თავის ნახეთქები.
- პროქტოლოგიაში: ანალური ნაპრალეები, პარაპროქტიტი, ბუასილი.

## გამოყენების წესი

**კანის დაზიანების:** ჭრილობას ვამუშავებთ ანტისეპტიკური (3% წყალბადის ზეჟანგი) ხსნარით. ჭრილობის ზედაპირზე ვაფარებთ 2-3 ფენა სტერილური მარლაზე წასმულ მალამოს. ნახვევის გამოცვლა 12 სთ-ში ერთხელ ან მალამო თხელ ფენად წაისმევა დაზიანების უბანზე, შესაძლებელია დოლბანდის ნახვევის გაკეთება. მალამოს აპლიკაცია ხდება დღეში 2-3-ჯერ. მკურნალობის ვადა განისაზღვრება ჩვენებების მიხედვით.

**კანის სიმსივნის და ინფექციურ-ანთებითი დაავადებების შემთხვევაში** მალამოს ვისმევთ ბამბიანი ჩხირის მეშვეობით, ისეთი რაოდენობით, რომ დაიფაროს არა მარტო კანის დაინფიცირებული ადგილები, არამედ მიმდებარე ადგილებიც. მალამოს ვიყენებთ ყოველდღიურად, დღის განმავლობაში 2-3 ჯერ.

**დამწვრობისას** დაზიანებულ კერას მაშინვე ვადებთ მალამოს სქლად, 1-2 საათის შემდეგ (საშუალო და მძიმე ხარისხის დამწვრობის შემთხვევაში) დაზიანებულ ადგილებზე ვაფარებთ 2-3 ფენა სტერილური მარლაზე წასმულ მალამოს. ნახვევის გამოცვლა ხდება 2-3 –ჯერ დღის განმავლობაში. ასეთი პროცედურების შემდეგ ტკივილი სწრაფად ქრება, თითქმის არ წარმოიქმნება ბუშტუკები, დამწვრობის კვალიც არ რჩება.

**პირისა და ცხვირის ღრუს** პრობლემების დროს მალამოს ვისმევთ მტკივნეულ ადგილზე ადგილობრივი აპლიკაციების სახით, ყოველდღიურად, დღის განმავლობაში 2-3 - ჯერ.

მკერდის პრობლემების დროს მალამო მსუბუქი, მასაჟისებური მოძრაობით წაისვით მკერდზე.

მკერდის პრობლემების დროს მალამო მსუბუქი, მასაჟისებური მოძრაობით წაისვით მკერდზე.

**მწვავე ზუასილის** შემთხვევაში ტამპონის გამოყენებით მალამო დაიტანება კვანძებზე.

მკურნალობის ვადა განისაზღვრება ჩვენებების მიხედვით.

**გამოყენების ვადა** განისაზღვრება ჩვენებების მიხედვით.

## გვერდითი მოვლენები

პრეპარატი ჩვეულებრივ კარგად გადაიტანება,

## უკუჩვენება

მომატებული მგრძობელობა მალამოს კომპონენტების მიმართ.

## შენახვის ვადა და პირობები:

ინახება 2-15°C-ზე სინათლისგან დაცულ ადგილას.

## შენახვის ვადა

გაუხსნელი 1 წელი. პირველი გამოყენების დღიდან - 2-3 კვირა.

## გაცემის პირობები

ურეცეპტოდ.

## შეფუთვა

40 გრამი, პლასტმასის ხრახნიანი ქილა, მუყაოს ყუთში.

## მწარმოებელი

შპს"ბიოფარმი-L" შპს"ალექსბიო"-სთვის **მწარმოებელი:**

ს.ს. „ბიოქიმფარმი“ - შპს,  
მედიკო-ბიოლოგიური  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი  
"ალექსბიო"-სათვის.  
[www.ga-40.com](http://www.ga-40.com)